



75/3-53/22 2 12012022

75/3-53/22
12-01-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,

რატი ბრეგაძეს

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 18 ნოემბერს საქარლამენტო კონტროლის ფარგლებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა № 18 სამკურნალო დაწესებულებას გაეგზავნა პარლამენტის წევრის კითხვა N11475/3-53/21, N11473/3-53/21, N11450/3-53/21, N11471/3-53/21.

26 ნოემბრის წერილით, თქვენს უწყებას დაქვემდებარებულმა სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მოითხოვა დამატებითი ვადა მონაცემების დამუშავების მიზნით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილი ინფორმაციის დამუშავებისათვის ვადის გაგრძელებას მხოლოდ 10 დღით ითვალისწინებს. აღნიშნული ვადა გასულია, თუმცა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა № 18 სამკურნალო დაწესებულებიდან კითხვებზე პასუხი ჯერაც არ გამოგზავნილა.

გთხოვთ, დროულად მოახდინოთ რეაგირება წინამდებარე წერილზე და გამოგზავნოთ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010186602890122

09 / თებერვალი / 2022 წ.

№1590

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ თამარ კორძაიას

ქალბატონო თამარ,

თქვენი №11475/3-53/21, №11473/3-53/21, №11450/3-53/21, №11471/3-53/21, №89/3-53/22, №75/3-53/22 და №80/3-53/22 მომართვების პასუხად დანართის სახით გიგზავნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 6 (ექვსი) ფაილი (PDF)

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად



რატი ბრეგაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახური

THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
SPECIAL PENITENTIARY SERVICE



KA010168087243122

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№36175/01

08 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსს,
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

გიგზავნით, საქართველოს პარლამენტის წევრის, ქ-ნი თამარ კორძაიას 2021 წლის 18 ნოემბრის N11475/3-53/21, N11473/3-53/21, N11450/3-53/21, N11471/3-53/21 და 2022 წლის 12 იანვრის N89/3-53/22 წერილებზე სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ პასუხს:

1. 2012-2021 წლებში, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში მკურნალობა ჩაუტარდა შემდეგი რაოდენობის მოშიმშილე ბრალდებულს/მსჯავრდებულს:

2012 წელი - 16 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2013 წელი - 43 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2014 წელი - 5 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2015 წელი - 17 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2016 წელი - 13 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2017 წელი - 48 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2018 წელი - 36 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2019 წელი - 45 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2020 წელი - 34 ბრალდებული/მსჯავრდებული;
2021 წელი - 47 ბრალდებული/მსჯავრდებული;

2. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებიდან სამოქალაქო სექტორის კლინიკებში გადაყვანილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური აღრიცხვა არ წარმოებს, ვინაიდან შიმშილობის ზეგავლენასთან ერთად, გადაყვანილ პაციენტებს აღენიშნებოდათ სხვა თანხმლები დაავადებები და ძირითადად სწორედ მათი გამწვავების საფუძველზე ხდებოდა რეფერალის განხორციელება;

3. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში, მოშიმშილე პაციენტის გარდაცვალების არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა;

4. 2022 წლის 08 თებერვლის მდგომარეობით, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში ხორციელდება ორი მოშიმშილე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვა;

5. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულების სამედიცინო ნაწილში, ისევე

როგორც სხვა პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პუნქტებში, სამედიცინო საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ დიპლომირებული ექთნები და დაკავებული პოზიციების შესაბამისი სახელმწიფო სერტიფიკატების მქონე ექიმები;

N18 სამკურნალო დაწესებულებაში სამედიცინო საქმიანობას ახორციელებს: 56 ექიმი (2 ზოგადი ქირურგი, 4 ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, 3 ინფექციონისტი, 2 ფსიქიატრი, 6 ექიმი-ლაბორანტი, 1 სტომატოლოგი, 1 ნეფროლოგი, 1 ფიზიკური თერაპევტი, 2 რადიოლოგი, 1 ენდოსკოპისტი, 5 შინაგანი მედიცინის სპეციალისტი, 1 დერმატო-ვენეროლოგი, 12 ფთიზიატრი, 1 კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი, 1 ექიმი-სტატისტიკოსი, 1 ეპიდემიოლოგი; ექიმი-კონსულტანტები - 1 კარდიოლოგი, 1 ენდოკრინოლოგი, 1 ოფთალმოლოგი, 2 ნევროლოგი, 1 ოტორინოლარინგოლოგი, 1 უროლოგი, 1 ალერგოლოგი, 1 მეან-გინეკოლოგი, 1 ნარკოლოგი, 1 ფსიქოთერაპევტი, 1 რადიოლოგი), 60 ექთანი, 5 ლაბორანტი და 6 დამხმარე პერსონალი (დაწესებულებაში ასევე დასაქმებულია: 4 ფარმაცევტი, 1 ფარმაციის ასისტენტი, 1 დიასახლისი, 1 სტატისტიკოს-არქივარიუსი);

რაც შეეხება, აღნიშნული სამედიცინო პერსონალის (ექიმები, ექთნები, დამხმარე პერსონალი) სიისა და მათი შესაბამისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (დიპლომი, სერტიფიკატი) მოწოდებას, როგორც თქვენთვის ცნობილია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და აღნიშნულის გათვალისწინებით, დანართის სახით წარმოგიდგენთ მხოლოდ იმ მედპერსონალის დიპლომებისა და სერტიფიკატის ასლებს, რომელთაც თანხმობა განაცხადეს მათი პერსონალური მონაცემების მესამე პირისთვის გადაცემაზე;

6. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება, 2014 წლიდან ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვას. N18 სამკურნალო დაწესებულებისთვის სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის მინიჭების დამადასტურებელ, განახლებულ სანებართვო მოწმობასა და სანებართვო მოწმობის დანართებს, ასევე სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში სანებართვო და მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობების დაცვის მდგომარეობის შეფასების მიზნით ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს, წარმოგიდგენთ დანართის სახით;

7. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რის გამოც, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ პაციენტის სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია;


8. 2021 წლის 8 ნოემბრის შემდგომ, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისთვის შექმნილი და აღნიშნულ დაწესებულებაში შეტანილ იქნა (18.11.2021წ.) მხოლოდ სტომატოლოგიური და ფიზიოთერაპიის აპარატურისათვის საჭირო სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები;

9. N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების, მისი შემსრულებლის და აღნიშნულთან მიმართებაში წარმოებული დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები) მოწოდებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მისი მოთხოვნა საჭიროა მოხდეს შესაბამისი წესით, რის შემდგომაც, იგივე წესის დაცვით, მოგეწოდებათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

დანართი: „57“ (ორმოცდაჩვიდმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

თამთა დემურიშვილი



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების
სააგენტო

LEPL Regulation Agency for Medical and Pharmaceutical Activities



KA030235900962121

საქართველო, თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, +995 32 2 51 00 11 (12-11), rama.moh.gov.ge, regagency@moh.gov.ge
144 Ak. Tsereteli Ave, 0119, Tbilisi, Georgia, +995 32 2 51 00 11 (12-11), rama.moh.gov.ge, regagency@moh.gov.ge

№ 02/16665

10 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური
პენიტენციური სამსახურის გენერალურ
დირექტორს, ბატონ ნიკა ცხვარაშვილს
(მის.: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N27)


ბატონო ნიკა,

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში შემოსული თქვენი წერილების (კანცელარიის ნომერი: N109308, 09.11.2021წ; N109277, 09.11.2021წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის ბრძანებების შესაბამისად, 2021 წლის 26-29 ოქტომბერს, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს თანამშრომლების მიერ განხორციელდა მონიტორინგი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დანესებულებაში სანებართვო და მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობების დაცვის მდგომარეობის შეფასების მიზნით. ინფორმაციას მონიტორინგის შედეგების შესახებ წარმოგიდგინებ დანართის სახით.

დანართი - 2 ფურცელი.

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ზაალ კაპანაძე

ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება (ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მკ/რ-ნი, მე-2 კილომეტრი)

დაწესებულება ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვას და ნებართვის დანართებს :

- ინფექციური დაავადებების მკურნალობა
- ონკოლოგია (ამ ეტაპზე საქმიანობას არ ახორციელებენ)
- ოფთალმოლოგია
- ქირურგიული პროფილის საქმიანობა
- რენიმაცია
- ფთიზიატრია (ამ ეტაპზე საქმიანობას არ ახორციელებენ)
- ფსიქიატრია
- რადიოლოგიური საქმიანობა - რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა
- ლაბორატორიული საქმიანობა- კლინიკური დიაგნოსტიკა;
- ლაბორატორიული საქმიანობა - ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;
- ლაბორატორიული საქმიანობა - იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა.

წარმოდგენილი აქვთ შეტყობინებები მაღალი რისკის საქმიანობებზე:

- სტომატოლოგია
- ენდოსკოპია
- დერმატო-ვენეროლოგია (მ.შ. დერმატოკოსმეტოლოგია)

დაწესებულება წარმოადგენს „C“ შერეული ტიპის დაწესებულებას (მინისტრის N 01-9/ნ ბრძანება), რადგან ახორციელებს 2 სპეციალიზებულ (ინფექციურ და ფსიქიატრიულ) სერვისს.

N01-9/ნ-ის მიხედვით (შერეული მრავალპროფილიანი სტაციონარი (ტიპი „C“), რომელიც შეიძლება არ აწარმოებდეს ან სრულად არ აწარმოებდეს ბაზისურ სერვისებს, მაგრამ აწარმოებდეს სხვა ორ და მეტ სპეციალიზებულ სერვისს. იგი შეიძლება წარმოადგენდეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და საბაზისო სტაციონარებისათვის რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებას რიგი სერვისების (მათ შორის, ბაზისური) მიწოდების თვალსაზრისით. ასევე, ის შეიძლება აწვდიდეს ხანგრძლივი მოვლის სერვისებს) .

სამედიცინო დაწესებულების მიერ სანებართვო და მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობების დაცვის მონიტორინგის მიზნით კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის ადგილზე შემოწმებისას ნანახი იქნა:

დაწესებულება განთავსებულია ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე 4 სართულიან შენობა - ნაგებობაში. დაწესებულების საწოლ-ფონდი შეადგენს 140 საწოლს (60 საწოლი - ფსიქიატრიული; 60 - თერაპიული, 20 - ინფექციური).

დაწესებულებას გააჩნია 2 საოპერაციო დარბაზი და რენიმაციული განყოფილება, 2 სარენიმაციო საწოლზე. ნანახია 2 პორტატული რენტგენო-დიაგნოსტიკური დანადგარი.

ლაბორატორია აღჭურვილია კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ლიფტი, მ.შ. მწოლიარე პაციენტებისათვის.

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგება და ელექტრომომარაგება.

ნარჩენების გატანა ხორციელდება ხელშეკრულებით.

დაწესებულებაში დასაქმებულია 41 ექიმი, მათ შორის :

ზოგადი ქირურგი - 3,

ანესთეზიოლოგ- რეანიმატოლოგი - 4,
ინფექციონისტი - 3,
ფსიქიატრი- 2,
ექიმი ლაბორანტი - 6,
სტომატოლოგი- 1,
შინაგანი მედიცინის სპეციალისტი - 7,
დერმატო- ვენეროლოგი-1,
ფთიზიატრი- 1,
რადიოლოგი-2,
კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი -1 .

ექიმი- კონსულტანტი :
კარდიოლოგი-1,
ენდოკრინოლოგი-1,
ოფთალმოლოგი-1,
ნევროლოგი-2,
ოტორინოლარინგოლოგი- 1
უროლოგი-1
ალერგოლოგი-1
მეან- გინეკოლოგი-1
ნარკოლოგი-1